ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8076707

ნომერი: AR11159052

თარიღი : 04.09.2026

გაცემის თარიღი : 10.09.2026

გაცნობის თარიღი : 10.09.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა, N 72, კორპუსი 19;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა დანელიშვილი პ/ნ 13001027041
- გურჯაანი თამარ მეფის ქ. N 10

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168165 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 4 სექტემბრის №AR11159052 განცხადებით მომართა ბექა დანელიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის

6 აგვისტოს №7168165 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168165 ბრძანებით, №01.19.36.014.517 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2026 წლის 30 მარტის №7863387 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168165 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 5701.5; კვ.მ., საერთო ფართობად 7296.0 კვ.მ.
სამსახურის 2026 წლის 22 ივნისის №7971788 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168165 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 5699.8 კვ.მ., სარდაფის ფართად დაფიქსირდა - 15.0 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდა - 778.85 კვ.მ., საერთო ფართობად - 7083.35კვ.მ. შეთანხმებული გეგმები (გარდა სარდაფის სართულის და სახურავის გეგმებისა) ჩანაცვლდა 2026 წლის 17ივნისის №AR11148133 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168165 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელი ფართობი 5699.8 კვ.მ-ის ნაცვლად არის - 5702.1 კვ.მ., სარდაფის ფართობი - 15.0 კვ.მ-ის ნაცვლად - 14.6 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი - 778.85 კვ.მ-ის ნაცვლად - 995.25 კვ.მ., საერთო ფართობი - 7083.35 კვ.მ-ის ნაცვლად - 7301.65 კვ.მ. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168165 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168165 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელი ფართობად დაფიქსირდეს 5702.1 კვ.მ., სარდაფის ფართობად - 14.6 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 995.25 კვ.მ., საერთო ფართობად - 7301.65 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168165 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168165, 2026 წლის 30 მარტის №7863387 და 2026 წლის 22 ივნისის №7971788 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.